ცირკულარული ქალაქები და რეგიონები საქართველოში:

ადგილობრივი უნარ-შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოს რეგიონებში ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისთვის

ფინანსური დახმარების კონკურსი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის

ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის ინოვაციური მიდგომები

ფინანსური დახმარების სახელმძღვანელო

კახეთის რეგიონი და აჭარის ა/რ

2026 წელი

სარჩევი

1. პროექტის შესახებ 3
2. ფინანსური დახმარების კონკურსის შესახებ 4
3. კონკურსში მონაწილეობის უფლება 9
4. დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა 9
5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება 10
6. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები 15
7. მონიტორინგი 16

1. პროექტის შესახებ

დონორი	ევროკომისია (EC)
სახელწოდება	**ცირკულარული ქალაქები და რეგიონები საქართველოში (CCRG)**: ადგილობრივი უნარ-შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოს რეგიონებში ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისთვის
ხანგრძლივობა	2024 – 2028 (48 თვე)
განმახორციელებლები	CENN, ICLEI Europe
სამიზნე რეგიონები	კახეთის რეგიონი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ა/რ)
ნარჩენების პრიორიტეტული ნაკადები	შესაფუთი, ბიოდეგრადირებადი, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები

პროექტის მიზანი

პროექტის **ძირითადი მიზანია** საქართველოში კლიმატ-მედეგობის გაძლიერება და სამართლიანი მწვანე გარდაქმნის პროცესის ხელშეწყობა.

მიზნის მიღწევა დაგეგმილია ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერისა და მათი ჩართულობის გზით, რაც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას მისცემს წარმატებით შეასრულონ თავიანთი როლი ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამავდროულად, პროექტი ხელს შეუწყობს რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდას, მდგრადი მოხმარებისა და წარმოების ხელშეწყობას, ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას აჭარის ა/რ-სა და კახეთის რეგიონში.

პროექტის **კონკრეტული მიზნებია:**

- დიალოგის, სწავლის მექანიზმებისა და თანამონაწილეობრივი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების შემუშავების პროცესის გაძლიერება ნარჩენების პრევენციის და ცირკულარული ეკონომიკის საკითხებზე;
- ნარჩენების პრევენციის და ცირკულარული ეკონომიკის მასშტაბირებადი მოდელების დანერგვა და ტესტირება, ინკლუზიური, სექტორებს შორის თანამშრომლობისა და მრავალსექტორული პარტნიორობის გამოყენებით;
- მოსახლეობის ქცევის ცვლილების სტიმულირება ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის გამოყენების მიმართულებით.

პროექტის სამიზნე ჯგუფებია: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი და სასწავლო დაწესებულებები.

2. ფინანსური დახმარების კონკურსის შესახებ

კონკურსის მიზანი

ფინანსური დახმარების კონკურსის მიზანია კახეთის რეგიონსა და აჭარის ა/რ-ში **ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის (WP&CE)** პრაქტიკის ხელშემწყობი ინიციატივების მხარდაჭერა.

კონკურსის **კონკრეტული მიზანია,** სამიზნე რეგიონებში, ისეთი **ინოვაციური**, **პრაქტიკული** და **მდგრადი** პროექტების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს:

- **WP&CE საუკეთესო პრაქტიკის დემონსტრირებას** - პროექტები, რომლებიც პრაქტიკაში აჩვენებს ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის ეფექტიან და ინოვაციურ მიდგომებს, როგორებიცაა რესურსების რაციონალურად გამოყენება და ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება, ნარჩენების შემცირება, ხელმეორედ გამოყენება, სეპარაცია/გადამუშავება, მოწინავე ტექნოლოგიური გადაწყვეტები (მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფა, ციფრული ინსტრუმენტები, აპლიკაციები, და სხვ.);
- **კახეთის რეგიონში და აჭარის ა/რ-ში მწვანე ღირებულებათა ჯაჭვების შექმნას** - მდგრადი ეკონომიკური ურთიერთობებისა და პრაქტიკების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობს რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას, ნარჩენების რაოდენობის მინიმიზაციას და პროდუქტების სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივებას;
- **საზოგადოების ქცევითი ცვლილებების წახალისებას ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის (WP&CE) პრაქტიკების გამოყენების მიზნით** - ყოველდღიური ჩვევების გადაფასება და რესურსების გამოყენებისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

კონკურსის სამიზნე რეგიონები, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტები

- კახეთის რეგიონი და აჭარის ა/რ

კონკურსის სამიზნე სექტორი

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

ნარჩენების პრიორიტეტული ნაკადები

- შესაფუთი ნარჩენი
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენი
- სამშენებლო და ნგრევის ნარჩენი

შენიშვნა: *პროექტი შესაძლოა ეხებოდეს ერთ, ორ, ან სამივე ნაკადს ერთად.*

ფინანსური დახმარების კონკურსის გამჭოლი (cross-cutting) საკითხები

- HRBA - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა[1]
- ქალების, ახალგაზრდების და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა

პროექტების ხანგრძლივობა

- ფინანსური დახმარების განაცხადში აღწერილი პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აჭარბებდეს **10 თვეს.**

ფინანსური დახმარების კონკურსის თემები და შესაბამისი მაგალითები

შენიშვნა: *გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ქვემოთ მოცემული მაგალითები ატარებს მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათს და არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს. განმცხადებლებს შეუძლიათ წარმოადგინონ სხვა ინოვაციური და პრაქტიკულად განხორციელებადი ინიციატივები, რომლებიც თანხვედრაშია კონკურსის მიზნებთან და სხვა მოთხოვნებთან.*

1. ნარჩენების პრევენცია და წარმოქმნის შემცირება

აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ნარჩენების წარმოქმნის თავიდან არიდებას ან შემცირებას პირველწყაროსთან, რესურსების პასუხისმგებლიანი გამოყენებისა და საზოგადოებაში მდგრადი მოხმარების პრაქტიკების დანერგვის გზით:

- **ერთჯერადი შეფუთვის შემცირების ინიციატივები**, მათ შორის მრავალჯერადი შეფუთვის/ჭურჭლის გამოყენების პოპულარიზაცია, refill-პუნქტების (ხელახალი შევსების) ან სხვა მრავალჯერადი გამოყენების სისტემების საპილოტე დანერგვა სასწავლო დაწესებულებებში, თემებში, ღონისძიებებზე, საზოგადოებრივ სივრცეებსა და სხვა ადგილებში;
- **სურსათისა და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების პრევენციის ინიციატივები**, მათ შორის საკვების ნარჩენების შემცირების მდგრადი ინიციატივები, საკვების გაზიარებისა და გადანაწილების ადგილობრივი მექანიზმების შექმნა, შინამეურნეობებში საკვების სწორად შენახვისა და გამოყენების პრაქტიკების პოპულარიზაცია;
- **საზოგადოებაში ნარჩენების პრევენციისა და მდგრადი მოხმარების პრაქტიკების დანერგვა**, მათ შორის „ნაკლები/ნულოვანი ნარჩენი“ ცხოვრების წესის, პასუხისმგებლიანი მოხმარების, პროდუქტის საციცოხლო ციკლის გახანგრძლივებისა და რესურსების დაზოგვის შესახებ პრაქტიკული ინიციატივები;

[1] ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ემსახურება იმას, რომ გაამლიეროს უფლებების მატარებელთა შესაძლებლობები თავიანთი უფლებების მოთხოვნისთვის და პასუხისმგებლობის მატარებელთა შესაძლებლობები, რათა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ყურადღებას უთმობს მარგინალურ, სოციალურად დაუცველ და გარიყულ მოსახლეობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი განიხილებოდნენ როგორც უფლებათა მქონეებად, ასევე ვალდებულებათა მატარებლებად და მთელ მოსახლეობას ეძლეოდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს პროცესებში და მათ შედეგებში. მეტი ინფორმაცია იხილეთ აქ.

- **სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების პრევენციის ინიციატივები**, მათ შორის სამშენებლო მასალების დაზოგვის, მათი ხელახალი გამოყენების, დემონტაჟის დროს მასალების ფრთხილად მოხსნისა და დახარისხების ინიციატივების განხორციელება;
- **ნარჩენების პრევენციის ციფრული და ინოვაციური ინსტრუმენტების შექმნა**, მათ შორის აპლიკაციების, ონლაინ პლატფორმების, ციფრული კამპანიებისა და სხვა ტექნოლოგიური გადაწყვეტების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების შემცირებას, რესურსების დაზოგვასა და მდგრადი მოხმარების პრაქტიკების დანერგვას.

2. პროდუქტებისა და მასალების ხელმეორედ გამოყენება, შეკეთება და საციცოცხლო ციკლის გახანგრძლივება

აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს პროდუქტების, მათი კომპონენტებისა და მასალების საციცოცხლო ციკლის გახანგრძლივებას ხელმეორედ გამოყენების, შეკეთების, გაცვლის, გაზიარებისა და განახლების გზით:

- **„შეკეთების კაფეების“ (Repair Cafe) / სახელოსნოების და მსგავსი საზოგადოებრივი სივრცეების შექმნა ან განვითარება**, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ ნივთების შეკეთება, განახლება და მათი გამოყენების ვადის გახანგრძლივება;
- **ნივთების გაცვლისა და გაზიარების ინიციატივების შექმნა**, მათ შორის ტანსაცმლის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ინსტრუმენტების, წიგნების, საბავშვო ნივთებისა და სხვა პროდუქტების გაცვლის, გაზიარების ან დროებით გამოყენების სისტემები;
- **„ნივთების ბიბლიოთეკის“ (Library of Things) ტიპის საზოგადოებრივი მოდელების დანერგვა**, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეებს შეეძლებათ იშვიათად გამოყენებული ნივთების, ინსტრუმენტების ან აღჭურვილობის გაზიარება/დროებით სარგებლობა მათი ცალკე შეძენის ნაცვლად;
- **გამოყენებული პროდუქტებისა და მასალების შეგროვებისა და ხელახალი გამოყენებისთვის მომზადების ინიციატივები**, მათ შორის ავეჯის, ტექსტილის, შეფუთვისა და სამშენებლო მასალების შეგროვება, დახარისხება, შეკეთება, განახლება და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- **ციფრული პლატფორმებისა და ონლაინ სერვისების შექმნა**, რომლებიც ხელს უწყობს გამოუყენებელი ან მეორადი ნივთების გაცვლას, ჩუქებას, გაზიარებას ან ხელახალ გამოყენებას;
- **ახალგაზრდების, სკოლების, თემებისა და ადგილობრივი ჯგუფების ჩართულობით ხელმეორედ გამოყენების მდგრადი და გაგრძელებადი ინიციატივების განხორციელება**, მაგალითად, ტანსაცმლისა და ნივთების გაცვლის ინიციატივები, შემოქმედებითი reuse/upcycling სახელოსნოები და თემზე დაფუძნებული ხელახალი გამოყენების პროგრამები;
- **სამშენებლო მასალების ხელახალი გამოყენების საპილოტე სისტემების შექმნა**, მათ შორის დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მასალების შეგროვება, დახარისხება და სხვა სამშენებლო ან საზოგადოებრივი საჭიროებისთვის გამოყენება.

3. ნარჩენების დახარისხება, გადამუშავება და რესურსების აღდგენა[2]

აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს პრიორიტეტული ნარჩენების ნაკადების: შესაფუთი, ბიოდეგრადირებადი და სამშენებლო/ნგრევის ნარჩენების განცალკევებულ შეგროვებას, დახარისხებას, გადამუშავებასა და რესურსად აღდგენას:

- **შესაფუთი ნარჩენების შეგროვებისა და ხელახალი გამოყენება/გადამუშავების ხელშეწყობა**, მათ შორის ქაღალდის, მუყაოს, პლასტმასის, მინისა და ლითონის განცალკევებული შეგროვების სისტემების შექმნა და შესაბამის გადამამუშავებელ ჯაჭვებთან დაკავშირება (აქტივობა, პროცესის გაუმჯობესებისთვის შეიძლება მოიცავდეს ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას);
- **ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების სისტემების შექმნა**, მათ შორის საზოგადოებრივი, სათემო, ან სასწავლო დაწესებულების კომპოსტირების მოდელების საპილოტე დანერგვა და მიღებული კომპოსტის გამოყენება გამწვანების, სოფლის მეურნეობის ან სხვა შესაბამისი მიზნებისთვის;
- **სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების სეპარაციისა და ხელახალი გამოყენების პროექტები**, მათ შორის ვარგისი მასალების გადარჩევა, ინერტული მასალების განცალკევება და მათი ხელახალი გამოყენების/გადამუშავების ხელშეწყობა;
- **მცირე მასშტაბის ინოვაციური გადამუშავებისა და რესურსების აღდგენის პროექტები**, რომლებიც კონკრეტული ნარჩენის ნაკადიდან ახალი მასალის ან პროდუქტის მიღების შესაძლებლობას აჩვენებს.

<u>ფინანსური დახმარების კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი სახის აქტივობები:</u>

- **მწვანე ღირებულებათა ჯაჭვების შექმნის ხელშემწყობი** აქტივობები, რომლებიც აერთიანებს არასამთავრობო ორგანიზაციებს და ერთ ან რამდენიმე სხვა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის ადგილობრივ თემებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და/ან ბიზნესს (იხ. **შენიშვნა** ქვემოთ) და ხელს უწყობს მცირე მასშტაბის და განმეორებადი და მასშტაბირებადი WP&CE პრაქტიკის პილოტირებას (მაგ., მცირე მასშტაბის დანადგარები, დამხმარე მასალები და ა.შ):
    - **ადგილობრივი პარტნიორული ქსელების შექმნა**, რომლებიც უზრუნველყოფს ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, სეპარაციისა და გადამუშავების პროცესში სხვადასხვა მხარის კოორდინირებულ მონაწილეობას;
    - **ნარჩენების წარმოქმნის წყაროსა და რესურსის საბოლოო მომხმარებელს შორის კავშირის შექმნა**, მაგალითად, საკვები/ბიოდეგრადირებადი ნარჩენის კომპოსტირებასთან დაკავშირება, გამოყენებული ნივთების ხელახალი

[2] პროექტის ფარგლებში ნარჩენებთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა უნდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი ნარჩენებისმართვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. დაგეგმილი საქმიანობის სახისა და მასშტაბის მიხედვით, განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსითა და მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების შესაბამიად განსაზღვრული საქმიანობის რეგისტრაციის, ნებართვისა და/ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება.

გამოყენებისთვის გადაცემის სისტემების შექმნა ან სამშენებლო მასალების ხელახალი გამოყენების ჯაჭვის ჩამოყალიბება;

- **ბიზნესთან თანამშრომლობით საპილოტე მოდელების შემუშავება**, რომელთა გაგრძელება და მასშტაბირება შესაძლებელი იქნება ფინანსური დახმარების კონკურსის დასრულების შემდეგ;
- **ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტების დანერგვა/პოპულარიზაცია**, როგორიცაა ციფრული ინსტრუმენტები და მობილური აპლიკაციები, რომლებიც ამარტივებენ რესურსების სწორ მართვას, ნარჩენების შემცირებას ან საზოგადოების ჩართულობის ზრდას.

- **ქცევითი ცვლილების, ცნობიერების ამაღლების და საზოგადოების ჩართულობის ხელშემწყობი მდგრადი და განგრძობითი აქტივობები**, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის, ახალგაზრდების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა ჯგუფების ქცევის ცვლილებას და ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვას:

  - **ქცევითი ცვლილების წამახალისებელი მდგრადი ინიციატივები**, რომლებიც არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებას, არამედ კონკრეტული ჩვევების ცვლილებას ისახავს მიზნად — მაგალითად, ერთჯერადი შეფუთვის შემცირება, ნარჩენების სეპარაცია, კომპოსტირება, ნივთების შეკეთება და ხელმეორედ გამოყენება;
  - **დაწესებულებებში (მათ შორის სასწავლო) და სხვა სივრცეებში პრაქტიკული პროგრამების განხორციელება**, სეპარირებული შეგროვება, კომპოსტირება, repair/reuse სახელოსნოები და ცირკულარული ეკონომიკის ლაბორატორიები;
  - **თემზე დაფუძნებული ინიციატივები**, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობს პრობლემის იდენტიფიცირებაში, გადაწყვეტის შემუშავებაში, საპილოტე მოდელის განხორციელებასა და შედეგების შეფასებაში;
  - **მოქალაქეთა ჩართულობაზე დაფუძნებული ინოვაციური კამპანიები**, რომლებიც საზოგადოებას უბიძგებს კონკრეტული ქცევის ცვლილებისკენ და მიღწეული შედეგების გაზომვის შესაძლებლობას იძლევა;
  - **ადგილობრივი მაგალითებისა და საუკეთესო პრაქტიკის დემონსტრირება**, მათ შორის საპილოტე ობიექტების, სადემონსტრაციო სივრცეების, ღია ღონისძიებებისა და პრაქტიკული სახელოსნოების შექმნა, რათა მოსახლეობამ თავად ნახოს ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების გამოყენების შედეგები.

შენიშვნა: ***<u>ბიზნესი</u>*** *- მწარმოებლები, HORECA (სასტუმროები/რესტორნები/კაფეები), საცალო მოვაჭრეები, ბიზნეს ასოციაციები, ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიები, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციები;* ***<u>საგანმანათლებლო</u>*** ***<u>დაწესებულებები</u>*** *- სკოლები, უნივერსიტეტები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.*

მოსალოდნელი შედეგი

კონკურსის მოსალოდნელი შედეგია სამოქალაქო საზოგადოების მიერ სამიზნე რეგიონებში ინოვაციური, მდგრად შედეგზე ორიენტირებული WP&CE საპილოტე მოდელების შექმნა და განხორციელება, რომლებსაც ექნება ხელშესახები გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური შედეგები, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მდგრადი ქცევების დამკვიდრებას და ექნება სხვა თემებსა და მუნიციპალიტეტებში რეპლიკაციისა და მასშტაბირების პოტენციალი.

ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროგრამა - WP&CE ადვოკატები

ფინანსური დახმარების გარდა, კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციები მონაწილეობას მიიღებენ CENN-ის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროგრამაში, რომელიც მოიცავს ტრენინგებს და მენტორინგ სესიებს შემდეგ საკითხებზე: ორგანიზაციის და ადამიანური რესურსების მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, ფინანსური მართვა (ბიუჯეტირება, ანგარიშგება დონორის რეგულაციების მიხედვით), დაფინანსების წყაროების მოძიება/საპროექტო განცხადების წერა, მონიტორინგი, კომუნიკაცია, შეფასება და სწავლება (MEL).

3. კონკურსში მონაწილეობის უფლება

ფინანსური დახმარების კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- **სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს,** რომლებიც არ წარმოადგენენ საერთაშორისო ორგანიზაციის ფილიალს;
- ოპერირებენ კახეთის რეგიონში ან/და აჭარის ა/რ-ში და აქვთ ადგილობრივი წარმომადგენლობა;
- სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულნი არიან განაცხადის შემოტანამდე სულ მცირე 1 წლით ადრე და აქვთ „აქტიური“ სტატუსი;
- არ აქვთ მიმდინარე საგადასახადო დავალიანება და არ არიან რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

4. დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა

ფინანსური დახმარების განაცხადის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის **მინიმალური** ოდენობა შეადგენს **60,000** ლარს, ხოლო **მაქსიმალური - 140,000** ლარს. ფინანსური დახმარების პროგრამის ჯამური თანხა შეადგენს 1,120,000 ლარს.

შენიშვნა: *საჭიროების შემთხვევაში შერჩეული განაცხადები ხელშეკრულების გაფორმებამდე შესაძლოა დაკორექტირდეს/დაიხვეწოს.*

ფინანსური დახმარების რესურსით არ დაფინანსდება შემდეგი ხარჯები:

1. უძრავი ქონების შეძენა
2. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ფრინველების, ფუტკრის ოჯახების შეძენა
3. ავტომობილის, მიკროავტობუსის, ავტობუსის და სხვ. (გარდა სპეციფიური სატრანსპორტო საშუალებისა, რომელიც არის გარემოსთან მეგობრული, ინოვაციური და მართებული კონკრეტული პროექტის კონტექსტში) შეძენა
4. მეორადი ტექნიკა, დანადგარები, მასალები და ა.შ.
5. სემინარებში, ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში მონაწილეობა
6. კვლევების ჩატარება, თუ ის წარმოადგენს პროექტის ძირითად აქტივობას
7. სასწავლო გრანტები უმაღლესი განათლებისათვის
8. ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები
9. გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები
10. ზარალი, გამოწვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად
11. მესამე მხარისათვის გაცემული სესხები
12. სადაზღვევო ხარჯები
13. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები
14. დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)

5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

ნარჩენების პრევენციისა და ცირკულარული ეკონომიკის (WP&CE) ინოვაციური მიდგომების ფინანსური დახმარების კონკურსი შედგება 5 ეტაპისგან:

1. განაცხადების წარმოდგენა
2. ჟიურის მიერ განაცხადების შუალედური შეფასება
3. შუალედურ ეტაპზე შერჩეულ ორგანიზაციებთან გასაუბრება (ონლაინ ან/და აპლიკანტის სამუშაო სივრცეში)
4. ჟიურის მიერ განაცხადების საბოლოო შეფასება
5. ფინანსური დახმარების განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

ფინანსური დახმარების განაცხადის წარმოდგენა

თუ განაცხადი არ შეიცავს კონკურსის პირობებით მოთხოვნილ არსებით ინფორმაციას ან დოკუმენტაციას, ან შეიცავს ისეთ უზუსტობას, რომელიც ხელს შეუშლის განაცხადის შეფასებას, განაცხადი შეიძლება არ იქნეს დაშვებული შეფასების ეტაპზე.

განმცხადებელმა ფინანსური დახმარების განაცხადის წარდგენისას უნდა გამოგზავნოს შემდეგი ფორმები:

- შევსებული და ხელმოწერილი **საპროექტო განაცხადი - ფორმა 1** (word და pdf ფორმატში)
- შევსებული და ხელმოწერილი **ბიუჯეტი - ფორმა 2** ლარში (Excel და pdf ფორმატში)

  შენიშვნა: *პროექტი არ აფინანსებს დღგ-ს, შესაბამისად, ბიუჯეტში ხარჯები მითითებული უნდა იყოს დღგ-ს გარეშე. ფინანსური დახმარების ფარგლებში გადახდილი დღგ-ს დაბრუნება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურში შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. დღგ-ს თანხის დროებით მობილიზების ვალდებულება ეკისრება ფინანსური დახმარების მიმღებს;*

- წერილობითი თანხმობა თანამშრომლობითი ინიციატივებისა და პარტნიორობის შემთხვევაში **(იხ. თავი 2 -** ფინანსური დახმარების კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელი აქტივობები);
- ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომელიც **<u>განახლებულია</u>** განაცხადის შემოტანამდე არაუმეტეს 1 კვირით ადრე;
- ცნობა საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ (შემოსავლების სამსახურიდან);
- სარეკომენდაციო წერილები (პარტნიორი ორგანიზაციებისგან, დონორებისგან და ა.შ) რაც გათვალისწინებული იქნება შეფასების დროს;

  შენიშვნა: *წერილი უნდა მოიცავდეს რეკომენდატორი პირის საკონტაქტო ინფორმაციას და ხელმოწერას. ურთიერთდამოკიდებული პირის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი ჩაითვლება ბათილად.*

- სხვა დოკუმენტაცია საჭიროებისამებრ (მაგ. ძირითადი საშუალების შესყიდვის შემთხვევაში ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.).

შევსებული ფორმები უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული ფოსტის სახით, მისამართზე - grants@cenn.org. ელექტრონული ფოსტის სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს: **"EU-CCRG - საპროექტო განაცხადი".** ფინანსური დახმარების კონკურსში ერთ ორგანიზაციას შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა. განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ **<u>ქართულ</u>** ენაზე.

კონკურსის ვადები

- განაცხადის მიღების დაწყების თარიღია **<u>14 სექტემბერი, 2026;</u>**
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა **<u>19 ოქტომბერი, 2026</u>**.

შენიშვნა: *ვადა გადაცილებით წარმოდგენილი ან/და ხელით შევსებული საპროექტო განაცხადი <u>არ მიიღება</u>.*

<u>საინფორმაციო შეხვედრა (ონლაინ ფორმატში)</u>

საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდება **<u>22 სექტემბერს, 11:00 საათზე</u>**

რეგისტრაციის ბმული: https://forms.gle/8usEBJjcD2LDMeZu8

გთხოვთ, რეგისტრაცია გაიაროთ, არაუგვიანეს 16 სექტემბერს. შეხვედრის ბმული გამოეგზავნება მხოლოდ დარეგისტრირებულ მონაწილეებს.

<u>კითხვებზე პასუხის გაცემა</u>

გთხოვთ, კითხვები გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე - **grants@cenn.org** არაუგვიანეს **6 ოქტომბერს.** აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შემოსული კითხვები არ განიხილება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სატელეფონო კონსულტაციები არ ჩატარდება.

<u>ფინანსური დახმარების განაცხადების შეფასება ჟიურის მიერ და გასაუბრება შერჩეულ ორგანიზაციებთან</u>

სრულყოფილად შევსებული შემოსული განაცხადების განსახილველად შეიქმნება სულ მცირე 6 წევრისგან შემდგარი კომისია.

პირველ ჯერზე მოხდება კომისიის მიერ განაცხადების შუალედური შეფასება.

განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1. ცოდნა და გამოცდილება	**15**
1.1. განმცხადებელს აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისათვის:	
• პროექტების მართვის გამოცდილება;	5
• თემატური საკითხის ცოდნა;	5
• შიდა მენეჯმენტის უნარ-ჩვევები (მათ შორის პერსონალი, აღჭურვილობა და ბიუჯეტის მართვის უნარი).	5
2. პროექტის იდეის რელევანტურობა	**20**
2.1. იდეის/პრობლემის აქტუალურობა და შესაბამისობა კონკურსის მიზანთან	10
პროექტის იდეა თანხვედრაშია კონკურსის მიზანთან, შესაბამისობაშია კონკურსის თემებთან/სექტორებთან/მიმართულებებთან და აქტუალურია	

სამიზნე რეგიონებისთვის; მოსალოდნელი შედეგები თანხვედრაშია კონკურსის პრიორიტეტებთან.	
2.2. პროექტის ბენეფიციარები	
განაცხადში დეტალურად არის აღწერილი პროექტის ბენეფიციარები. მათი საჭიროებები ნათლადაა გაანალიზებული და შესაბამისობაშია პროექტის აქტივობებთან.	5
2.3. ინოვაცია	
განაცხადში ნაჩვენებია საპროექტო იდეის ინოვაციურობა[3]: ახალი, ან კრეატიული მიდგომა / მეთოდი.	5
3. პროექტის დიზაინი და განხორციელების მიდგომა	**25**
3.1. პროექტის დიზაინი	
პროექტის ქმედებები თანმიმდევრულად არის აღწერილი. პროექტი ასახავს იმ მოსალოდნელ შედეგებს, რომლებიც ქმედებებით უნდა იქნას მიღწეული. შეთავაზებული აქტივობები შეესაბამება დაგეგმილ შედეგებს და ჩანს შედეგების მიღწევის ლოგიკა.	5
3.2. პროექტის სამოქმედო გეგმა	
სამოქმედო გეგმაში მოცემული აქტივობები გონივრულია, რეალისტურია და შეესაბამება დროით ჩარჩოს.	5
3.3. მონიტორინგი და შეფასება	
პროექტში აღწერილია ეფექტიანი მონიტორინგის სისტემა.	5
3.4. პროექტის განხორციელების რისკები და მათი შერბილების გზები	
განმცხადებლის მიერ ნათლად არის წარმოდგენილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული **რისკები** (პრობლემები ან გამოწვევები, რომლებმაც შესაძლოა პროექტზე ნეგატიური გავლენა იქონიოს) და მათი **შერბილების გზები.**	5
3.5. პროექტის ხილვადობა	
განაცხადში კარგად არის ნაჩვენები, თუ როგორ მოხდება პროექტის მიმდინარეობისას პროექტის და დონორის ხილვადობის (visibility) უზრუნველყოფა.	5

[3] ინოვაციის განმარტება: „ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება“ (საქ. კანონი)

4. პროექტის მდგრადობა	**20**
4.1. გავლენა სამიზნე ჯგუფებზე	
განაცხადში ნაჩვენებია, რომ ქმედება მოახდენს ხელშესახებ გავლენას მის სამიზნე ჯგუფებზე.	5
4.2. რეპლიკაციის შესაძლებლობა	
განაცხადში ნაჩვენებია, რომ ქმედებას ექნება მულტიპლიკაციური ეფექტი, მათ შორის რეპლიკაცია, შედეგის გაფართოება, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.	5
4.3. შედეგების მდგრადობა	
განაცხადში აღწერილია პროექტის მოსალოდნელი შედეგების მდგრადობა: **ფინანსური** (მაგ. პროექტის დასრულების შემდგომ საოპერაციო ხარჯების დაფინანსების წყაროების განსაზღვრა, მომავალში პროექტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.), **ინსტიტუციური** (ინსტიტუციას/ორგანიზაციას გააჩნია მიღწეული შედეგების მიმართ კუთვნილების განცდა, მიღწეული შედეგები შენარჩუნდება და გაგრძელდება პროექტის დასრულების შემდეგ) და **გარემოსდაცვითი** (პროექტის გარემოზე დადებითი/უარყოფითი ეფექტი) კუთხით.	10
5. პროექტის ბიუჯეტი	**15**
5.1. პროექტის ბიუჯეტი არის გონივრული და ასახავს ფინანსური დახმარების რესურსების ეფექტიან მოხმარებას: • აქტივობები შესაბამისად ასახულია ბიუჯეტში; • ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის თანაფარდობა დამაკმაყოფილებელია; • მოთხოვნილი ბიუჯეტი არ შეიცავს აკრძალულ ხარჯებს (იხ. თავი 4); • მოთხოვნილი თანხა შეესაბამება კონკურსის დაფინანსების კრიტერიუმებს.	15
6. ახალგაზრდები, ქალები და მოწყვლადი ჯგუფები	5
6.1. ორგანიზაცია მართულია ქალების, ახალგაზრდებისა (15-29 წლის) და მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების მიერ.	2
6.2. პროექტი აძლიერებს ქალებს, ახალგაზრდებსა და მოწყვლად ჯგუფებს მათი ჩართულობის გზით.	3
ჯამი	**100**

განაცხადები შეფასდება კომისიის წევრების მიერ ქულებით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის გათვალისწინებით. კონკრეტულ განაცხადზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებული ინდივიდუალური შეფასების ქულები დაჯამდება და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული, რაც წარმოადგენს კონკრეტული საპროექტო განაცხადის შეფასების ქულას.

შუალედურ ეტაპზე შერჩეულ ორგანიზაციებთან ჩატარდება გასაუბრება (ონლაინ ან/და აპლიკანტის სამუშაო სივრცეში), რის შემდეგაც მოხდება კომისიის მიერ განაცხადების საბოლოო შეფასება.

შენიშვნა: *გასაუბრების მიზანია განაცხადში წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტება და განმცხადებლის პროექტის განხორციელების შესაძლებლობების დამატებითი შეფასება. გასაუბრებისთვის ცალკე ქულა არ განისაზღვრება.*

<u>დაგეგმილია სულ მცირე 8 (4 კახეთი და 4 აჭარა) ყველაზე მაღალი ქულის მქონე საპროექტო განაცხადის დაფინანსება.</u>

შენიშვნა: *CENN იტოვებს უფლებას შეამციროს დასაფინანსებელი პროექტების რიცხვი ან/და არ დააფინანსოს არცერთი პროექტი იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი განაცხადების შეფასების პროცესში დადგინდება, რომ არცერთი მათგანი არ შეესაბამება ან/და სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს კონკურსის მიზნებსა და პირობებს.*

<u>ფინანსური დახმარების განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება</u>

გამარჯვებული პროექტების განმცხადებლებთან, კონკურსის ყველა ეტაპის (იხ. თავი 5) წარმატებით გავლის შემდეგ გაფორმდება ხელშეკრულება.

<u>განცხადებებისა და საჩივრების კომისია</u>

ფინანსური დახმარების კონკურსთან დაკავშირებული განცხადებების და საჩივრების განხილვის მიზნით, შეიქმნება განცხადებებისა და საჩივრების კომისია. განცხადებებისა და საჩივრების კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განცხადების ან საჩივრის დარეგისტრირებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის საჩივარში არსებულ გარემოებებს და თავისი გადაწყვეტილების შესახებ, შემდგომი რეაგირებისათვის წერილობით აცნობებს პროექტის გუნდს. CENN უზრუნველყოფს განცხადებებისა და საჩივრების კომისიის დაკომპლექტებას ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით და უზრუნველყოფს მომჩივანს პროცედურის შესახებ ინფორმაციით.

საჩივრის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ ელ ფოსტაზე - grants@cenn.org. შეფასების შედეგების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები

შერჩევის შემდეგ კომისიის მიერ საპროექტო განაცხადები დასტურისთვის წარედგინება CENN-ის აღმასრულებელ დირექტორს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე CENN აღმოაჩენს შეთანხმებული

და აუცილებელი პროცედურებისგან რამე გადაცდომას ან ინტერესთა კონფლიქტს[4], ის უფლებამოსილია, შეაჩეროს ფინანსური დახმარების ხელშეკრულების ხელმოწერა. თუკი განაცხადი და მასთან არსებული ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი სრულ წესრიგშია, წარმატებული განმცხადებელი ხელს მოაწერს ფინანსური დახმარების ხელშეკრულებას CENN-თან. ხელშეკრულებაში დეტალურად იქნება გაწერილი ორივე მხარის როლი და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებასა და დაფინანსებაზე, ასევე, შეთანხმების პირობებზე.

ყველა შესყიდვა განხორციელდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი შესყიდვის პროცედურების წესების დაცვით, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული პროექტის ფინანსურ გუნდთან. შეძენილი აქტივები კუთვნილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ფინანსური დახმარების ხელშეკრულებაში.

7. მონიტორინგი

პროექტის მიმდინარეობისას CENN-ის გუნდისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი, რომელიც საჭირო იქნება პროექტის განხორციელების მონიტორინგისათვის.

ფინანსური დახმარების მიმღები აწარმოებს და რეგულარულად წარმოადგენს აღწერილობით და ფინანსურ ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება CENN-ის გუნდისათვის პროექტის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში.

ფინანსური დახმარების მიმღებმა პროექტის განხორცილების პერიოდში უნდა უზრუნველყოს ევროკავშირისა და CCRG პროექტის ხილვადობა.

CENN-ის თხოვნის საფუძველზე, პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს პროექტის შედეგებისა და განხორციელებული აქტივობების გაცნობა და დემონსტრირება დაინტერესებული მხარისთვის.

[4] (1) პროექტის წარმდგენი ორგანიზაციის თანამშრომელი არის CENN-ის თანამშრომლის ოჯახის წევრი (დედა, მამა, და, ძმა, მეუღლე ან შვილი), (2) პროექტის წარმდგენი ორგანიზაციის თანამშრომელი და სერვისის მომწოდებელი არიან ოჯახის წევრები ან ნათესავები.